სიმონ ქვარიანი

სუმბული

დეე გიტანჯოს ტურფა სამშობლო,
ერის ცრემლებით მოგიდოს ალი,
მაგრამ შენ მაინც იდეგ მამაცად,
არ შეგაშინოს მტერმა მტირალი!

მიხეილ ვაჩნაძისა
დ. ყვირილა
1901

Дозволено цензурою С Петербургъ 30 ноября 1900 г.

სიმღერა.

ეღერე, გულო! მტკბარი ჰანგები
ააჩქეფარე ვით ნაკადული,
რომ მათ გამგონემ იგრძნოს რაც არის
ძმობა, ერთობა და სიყვარული.

Iეღერე, გულო! ზეცის მუსიკით
ააფრთოვანე ჩაგრულთა სული,
აღმოაცენე შიგ ყვავილებათ
ბედნიერება და სიხარული.

Iეღერე, გულო! მტარვალს და ჯალთს
მოხვდეს ეგ ხმები როგორც ლახვარი,
თან მოესხუროს ერსა დატანჯულს
ვით ბალაზინი, ვით მუშკამბარი.

Iეღერე, გულო! მაგ ხმების ძალამ
მყოს მე შავ-ბედთან ვამარჯვებული,
არ შევუშინდე მის ,ბრისხვანებას
ვიდგე მარადის სიმხნით შემკული.

Იქლერე, გულო! რატომ მდუმარებ?
რამ შეგაფიქრა, რამ მოგაწყინა?
ჰფინე ეგ ხმები ტანჯულ სამშობლოს,
ვითა მკურნალი ტკბილი ნანინა!

Იქლერე, გულო! გრძნობისა ხმები
უშვი, აჩქეფე ვით შადრევანი,
და გარდაბანე ხალხს უმეცრება,
ბიწიერება, ბოროტებანი!

Იქლერე, გულო! ჰო, მაგ ქლერაში
კრთოდეს იდუმალ ხმა სანეტარო,
ფურჩქნიდეს საჭრფოს კუკურა გრძნობებს
ესხურებოდეს ვით ცელქი წყარო.

ეტარებს მწირი . . . ცხელს უდ-
[აბნოში
ძლივს ღა იპოვა ბან ცივი წყალი
ნწკავე სურვილით დაეყრდო მასზედ,
გულსა ცხოვრების დასდო წამალი.

ნეტარებს მგზავრი ბნელსა ბურანში
ზღვასა მღელვარეს ის მინდობილა,
სულ დანსხვრეულია კლდეზე ხომალდი,
მაგრამ თითონ კი გადარჩენილა.

ნეტარებს გმირი.. თვისი სამშობლო
ჰყო მტარვალთაგან თავისუფალი
და შეღებული იმათი სისხლით
ბრძოლისა ველი არ არის მშრალი.

მაგრამ რა უდრის იმ ნეტარებას
როცა ვიხილე შენი სხივები
და ვით მიმტკბრი ზეცის მუსიკა
ისმედათ შენსა ეს ნაზი ხმები.

რომ შავ-თვალების მორცხვი ნათელი
კრთოლვით გეფინა შენ, ჩემო გულო,
ჰე, მაშინ ვიგრძენ თუ რაც ყოფილხარ
დიადო ენებავ, შენ, სიყვარულო!.

(რუსულით.)

ლ—ს

გი იმღერის და ხმები დნება
ვით ტკბილი კოცნა ქორფა ტუ-
(ჩებში,
გამოიცქერის, ცა იხატება
იმის ღვთაებრივ ფირუზ თვალებში;
როცა გაივლის წყნარი სინაზით,
ან როს ხმას იღებს, ყოველიფერი
რარიგ სავსეა ეშხით და გრძნობით,
რა შვენებაა! რა შვენიერი!

რ დაემონო შავ-ბედსა, სულო!
არ დაგანსხვრიოს ავის მკვეთარი!
იყავ მარადის მძლე, უძლეველი
ვით კლდე და ლოდი ზღვაში ჩამდგარი!
დეე ზვირთები აქაფებული
იმ კლდეს სანგრევათ ეჯახებოდენ
და, ვით ვეშაპი დამარცხებული,
კვნესით, ღრიალით ზედ ინსხვრეოდენ;

დეე შავ-ბედი, ულმო ცხოვრება
სულ გიღრინავდეს რისხვის მკვესარი
და გესობოდეს მწვავ-შხამიანი
გამოტყორცილი მისგან ისარი;
დეე მოვისპოს თავისუფლება
და დაგანახოს ბნელი სამარე,
არ შეგაშინოს, ჰოი მტარვალმა
მისი მებრძოლი ობლათ მდგომარე!
დეე გიტანჯოს ტურფა სამშობლო,
ერის ცრემლებით მოგიდოს ალი,
მაგრამ შენ მაინც იდექ მამაცად,
არ შეგაშინოს მტერმა მტირალი!
დეე დაგიჭკნოს ტკბილი იმედი,
ვით შვენიერი ნაზი სუმბული,
დეჰ, ამოგწოვოს ნეტარებანი,
სატრფოს ღალატით მოგიკლას გული,
არამც და არამც არ შეკრთე სულო!
იყავ შავ-ბედის ბასრი მკვეთარი,
იყავ მარადის მხნე, უძლეველი,
ვით კლდე და ლოდი ზღვაში ჩამდგარი!

(სიმღერა)

ოს ეინმე ქალი შვენიერება
ცის ანგელოზათ გეჩვენებოდეს,
მისი ფიცი და მისი სიტყვები
არ დაიჯერო, სულ არ გჯეროდეს.

თუნდ გიღიმოდეს ეშხით, სინაზით,
შავ-შავ თვალებსა არ გაშორებდეს,
მაინც იმისი ფიქრი და გრძნობა
არ დაიჯერო, სულ არ გჯეროდეს.

თუნდ ყურში მისი საამური ხმა:
„მიყვარხარ შენა!“ გიტიტინებდეს,
ეს წარმოთქმული მისი ჰანგები
არ დაიჯერო, სულ არ გჯეროდეს!

თუნდ იგი ტურფა გულში ჩაკრული
ტკბილ სანეტაროდ გეკონებოდეს,
რომ იგი კოცნა არ გაბწარდება,
არ დაიჯერო, სულ არ გჯეროდეს!

ᲕᲣᲫᲚᲕᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ.

ᲔᲔ დამᲪᲘᲜᲝᲜ! ᲑᲠᲑᲝᲛ ᲣᲛᲔᲪᲐᲠᲗᲐ
ᲖᲘᲖᲚᲘᲗ ᲨᲔᲛᲧᲣᲠᲝᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲡ
[ᲝᲑᲚᲐᲓ,
ᲓᲔᲰ ᲛᲝᲛᲮᲕᲓᲔᲡ ᲨᲮᲐᲨᲘ ᲑᲝᲠᲝᲢᲘ ᲔᲜᲘᲡ
ᲛᲐᲡ ᲕᲘᲜᲪ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲐᲓ!
ᲓᲔᲔ ᲓᲐᲛᲪᲘᲜᲝᲜ, ᲠᲝᲛ ᲯᲐᲠᲕᲧᲐᲕᲘ
ᲛᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ, ᲛᲢᲠᲘᲡᲐ ᲛᲝᲜᲝᲑᲐ,
ᲓᲘᲐᲮ, ᲓᲐᲛᲪᲘᲜᲝᲜ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲕᲘᲫᲣᲚᲔ
ᲑᲘᲚᲬᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲜᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ.
ᲓᲔᲔ ᲛᲔᲡᲛᲝᲓᲔᲡ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲛᲘᲠᲐᲓ
ᲛᲐᲗᲘ ᲒᲘᲟᲣᲠᲘ, ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲮᲐᲠᲮᲐᲠᲘ,
ᲕᲔᲠ ᲨᲔᲛᲐᲤᲔᲠᲮᲝᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲬᲧᲣᲠᲕᲐᲚᲔ
ᲛᲘᲡ ᲡᲐᲫᲔᲑᲐᲠᲐᲗ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘ!
ᲓᲔᲔ ᲔᲙᲚᲘᲐᲜᲡ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ
ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲓᲐᲔᲠᲗᲝᲡ ᲣᲚᲛᲝ ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘ,
ᲐᲠ ᲨᲔᲕᲣᲨᲘᲜᲓᲔ ᲐᲛ ᲒᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲐᲡ,
ᲗᲣ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲕᲐᲠ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲨᲕᲘᲚᲘ.
ᲓᲔᲔ ᲒᲐᲯᲐᲕᲠᲓᲔᲡ ᲩᲔᲛᲖᲔ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ
ᲓᲐ ᲛᲝᲛᲘᲕᲚᲘᲜᲝᲡ ᲖᲔᲪᲘᲡ ᲠᲘᲡᲮᲕᲐᲜᲘ,
ᲐᲠᲪ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲔᲕᲙᲠᲗᲔ ᲓᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲧᲐᲠᲝ
ᲛᲔ ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲯᲣᲑᲐ-ᲯᲐᲭᲕᲨᲐᲜᲘ!

დეე გადიქცეს ბიწიერება
საზარელ ვეშპად ჩემს ჩასანთქმელად,
დეჰ ძალადობა, ბოროტებანი
იქცენ ფრიალოდ გზის შემფერხელად,
არც მაშინ არამც არ შევუშინდე,
ვეძგერო მტერთა თავგანწირულად,
შეცნიერების ბასრი დაშნებით
ვკუწდე იმ ვეშპის გულსა გმირულად!
ტანჯულთ, დაჩაგრულთ მწარე ცრემლებით
იმ კლდეს ვადნობდე ვითა მარილი
რომ გავიყვანო მეორე კედრით
ერის სასვლელად მტკიცე გზა-წვრილი.
თუ ვცან ეს ბრძოლა, ომი ძლიერი
ისე ადვილად აღარ თავდება,
ამ დროს გაისმის მძლავრი საყვირი,
მყის მეგობრები ჩემთან გროვდება.
ერთად მებრძოლნი, საერთო ძალით
დავლეწავთ იმ კლდეს ნათლის დამფარველს,
ჰე მაშინ ვპოებთ ჭეშმარიტებას,
მაშინ მივაღწევთ წადილს სანატრელს!
და გამეფდება კვლავ სიყვარული,
კვლავ იცოცხლებს ჭეშმარიტება,
კვალად სიკეთე, და სათნოება;
ვით ცისარტყელა გულს მოევლება,

მაშინ თქვენც თვალი აგეხილებათ,
სცნობთ, საბრალონო, მაგ სულმდაბლობას
და შეიძაგებთ ბინძურ ცხოვრებას,
ბიწიერებას და ვერაგობას.
მანამდისინ კი დეე დაგვცინეთ,
ზიზღით შეჰყურეთ ჩვენს მოქმედებას,
ნწავს მოვა ის დრო, დრო სანეტარო
და დაემონვით ჩვენსა მოძღვრებას!

(ფრანგულით, ალფონსდადე-მიესსესგან)

ირცხვილი შენი! შენ ხარ პირ-
ველი
რო მომიშხამე ღალატით სული,
გულს გადამასხი მწარე ნაღველი,
სამარადისოდ მქენი ტანჯული!
სირცხვილი შენი, ქალო შავ თვალავ!
მხოლოდ ეკ შენი არს სიყვარული
რო დამინყლა ნეტარ ცხოვრების
ტკბილი, ბრწყინვალე მე გაზაფხული!

რად არ დაცხრები, სულო შფოთარე?
მითხარ რად გაგდის მწარე შხუილი!
მარქვი რად უშვებ ხმებსა გამგმირავს
ვით გალიაში ლომის ღმუილი!
ნუ თუ შავ-ბედი, ულმო ბუნება
მარტო შენ ზედა ამხედრებულა
და დაშხამული მათი ისრებით
შენი არსება დაწყლულებულა!
ნუ თუ ყოველი ადამიანი
გულ-ბოროტებით შენზე აღვსილა
და შხამიანი მათი ენანი
შენ საწამებლად მხოლოდ მოცლილა!
ნუ თუ სხიკები ბედნიერების
მარტო შენგანა განშორებულა
და ძალადობის სუსხი, წყვდიადი
მის სანაცვალოდ გამეფებულა!
ნუ თუ სატრფოის გველ-ცბიერების
მწარე ნაღველი შენგანა სმულა
და ახლად შლილი ნორჩი სიცოცხლე
ასე უდროოთ მით მოწამლულა!
თუ აგრე არი, მაშ ნუ დაცხრები,
უშვი, ჰო სულო, მწარე შხუილი,
რო ყველა გამგონს გულს უკვნესებდე
ვით გალიაში ლომის ღმუილი!

ი მ ა ს.

(სიმღერა)

ნახე ყვავილი....დილისა ნამზე
მხიბლავ სიტურფით იგი გაშ-
(ლილა,
მაგრამ რა მიველ დასაკონეჭლად
სუნი არ ქონდა, ოჰ, მომატყუილა!

ვნახე ქალწული...ნორჩი შვენებით,
ვით სირინოზი, ის შემკობილა,
რა მივახლოვდი, ვცანი, რომ ეგი
უსულო გვამად ქვეყნად შობილა.

ი მ ა ს

(სიმღერა)

ვნახე მაისში ტკბილი სიზმარი,
ციური გრძნობით მიჟღერედა გული,
ზედ ეფრქვეოდა ღვთიერ ნექტარად
შენი სინაზე და სიყვარული,

ბამოვიღვიძე, გაჭრა უეცრივ
ბედნიერება და სიხარული,
ვცანი, ყოფილ ხარ, ჰოი, ცბიერო!
ულმო და ცივი როგორც ყინული.

(სიზღერა)

დი ხანია ბედსა ზოვძულდი,
ულმოდ მაცილებს ტფობისა
(საზღვარს,
თანგრძნობის ნაცვლად ადამიანიც
გულში მწვედ მგმირავს გესლიან ლახვარს.
გაჭრენ, გამშორდენ ნეტარი დღენი,
გამიქრა რწმენა და სიხარული,
ტანჯულ სულშიაც კვნესით ამოვჯა
ბედნიერება და სიყვარული;
გაცუდდა გული დაწყლულებული,
ყოველი წუთი მასმევს ნაღველას
და უიმედო ოხლად მდგომარე
არავისაგან არ ველი შველას.
მაგრამ გთხოვ მაინც, ჰოი ქალწულო!
ააკრთო ენარი ნაზი ხმიანი

და მწვეელ ჰანგებში ცრემლით დაჰმღერო
შენი მგოსანი შავ-ბედიანი.

ნ ა ტ ვ რ ა

ჰ, ნეტა ვიყო შავი ღრუბელი
მთელ ხმელეთზედან გადაფე-
(ნილი'
რომ ამოვწურო ტანჯულ, დაჩაგრულთ
კვნესა, ცრემლები მწარედ დენილი!
რომ ის ცრემლები, გოდვა—ვაება,
კვნესა, ვარამი, გაჭირვებანი
ვუშვა ქვეყანას ერიშ ნიაღვრად,
შიგ ვარჩო ცოდვა, ქვენა ვნებანი,
რო მით წავლეკო და გადავბანო
სიცუე, შური, ბოროტებანი!

ოჰ, ნეტა ვიყო შმაგი გრიგალი
და ბობოქარი ზღვათ ამზვირთარე,
შამოვირბინო მთლად დედამიწა
ბიწიერების თესლის მზიდვარე!

დაეიგრიალო ჭექა-ქუხილით,
ზღვა და ხმელეთი შევაზრიალო,
მტარვალს და ჯალათს ვცე მეხ-მახვილი,
მათზე ავაგო, ავაფრიალო,
არც ვყო ცოცხალი, არც მოვკლა სრულად:
ასე წვალებით ზედ ვაწრიალო!

ოჰ ნეტა ვიყო სამარადისოდ
სიცოცხლის გული, მძლე სიყვარული,
რომ მოგაფრქვიო უხვად ყოველ მხრივ
ბედნიერება მარად ნატრული,
რომ ადამიანთ მყინვარე გულში
ჩავკვეს-ჩავანთო ზეცის ლამპარი
და ვაგრძნობინო მათ საუკუნოთ
სულ სხვა ცხოვრება ნექტარად მტკბარი,
რო მით დავთურგნო მე უმეცრება,
გაჭირვებანი და მწარე ბედი,
რომ ძლივს ვიხილო ხალხის სახეზე
წამების ნაცვლად ლხენის ბეჭედი,
მსოფლიოს მკერდეზე ავაკაშკაშო
თავისუფლების შარავანდედი!

ᲒᲝᲓᲕᲐ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

(გაგონილი და ჩაწერილი თეᲗურ-ლენგის ბატონობის დროს)

კვნესე, გულო,
არ შესწყვიტო მწარე ჟღერანი,
რომ თვით სამყაროს აკვნესებდეს
ეგ ხმათ ბგერანი!
Იკვნესე გულო,
აღაშფოთე ულმო ბუნება,
იქნებ მორბილდეს, მომაკაროს
ტანჯულს კურნება!
Იკვნესე გულო,
ამოხეთქე ხმათ შადრევანი
თვით უგრძნო კლდენიც აატირე
ჰყონ ცრემლთ ჩქეფანი!
ჰფინე ეგ Ხმათა წველი ბული
ჩემს საქართველოს,
მხოლოდ ტანჯული მიმიხვდება
ტანჯვების კილოს!
ჰფინე ეგ ხმათა გლოვის ნისლი
მთა-გოროს, ველ-მიდოროს,
ᲡᲐᲓ ᲐᲜᲗᲮᲔᲕᲘᲐ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲘ,

სადაც კუწავდა უსუსურთა მტარვალთ მა-
(ხვილი,
სადაც წამებით ქართვლის დედამ დალია
(სული!

ჰფინე ეგ ხმათა ბნელ-ბურუსი
დიდ კავკასიონს,
რომლის წინაშე ივერია წამებულია,
რომლის თვალ წინა გაფრენილა თავის-
(უფლება,
რომლისა გულში ქართვლის ბედი ჩამარ-
(ხულია.

სტყორცე, აშხეფე ხმა კვნესარე
გრიგალს, ქარიშხალს,
მსურს, რომ შეზავდეს საშინელი გლოვი-
(სა ზარი,
მსურს, რო განერხოს ხმა გრგვინვარე
(ცას, დედამიწას,
მსურის მაგ ხმებით თვით მსოფლიომ იწყ-
(ოს ზანზარი!

ასმინე ყველას:
საქართველო აღარ ქართველობს,
ერთ დროს ბატონი, ბძანებელი
ტყვედ არის, წვალობს...
ასმინე ყველას
ქართვლის სული მარად გმირული,

რომლის სახელი ქვეყანაზე მოფენილია,
რომლის წინაშე ქედს იხრიდა მთელი მუ-
(სლიმი
ოჰ, დღეს მანღოლთა მეჯინიბეთ ფეხთ
(სათელია,
ასმინე ყველას,
რომ ივერი აღარ შობს გმირებს,
რომ ქართველის ძუძუ აღარ კვებავს
მტერთა გამგმირებს;
ნაცვლად შექნილა ერის მცველი, ერის
(მზრუნველი
მუცელ ძღომია, სულშეაბალი, ძმის გამ-
(ყიდველი.
ჯი აღბორგდი, იმკვნესარე,
გულო ტანჯულო!
ჩაუნთე ყველას გრძნობათაგან ნაკვესი ალი!
ვერა, ვერც მაშინ დამიშრიტონ ცეცხლი
(მგზებარე,
ვერა, ვერც მაშინ გამკურნელი დამდონ
(წამალი! . . . .

მუსიკა

(შელლიდან)

ჰა მიწყნარდა მუსიკისა
ანგი ღვთიური,
ციური ძალით მან შემიპყრო,
დამიტკბო სული.
კვლავ დამეპკურეთ, ოჰ ჰანგებო,
ჰანგო მღიმარე,
ვით ნაზი თქოური მოკამკამე
მოეუეუნარე!
ვით ელის წვიმას გვალვისაგან
დაშწვარი ველი,
ეგრე იმა ხმებს სანეტაროს
მეცა მოველი.

მუსიკის ღმერთავ! ხედავ მზვირთარებს
გულს კაეშანი;
შაშ გამოგზავნე მალე ხმები,
სიმთა ელერანი!
ჯერ ბოლომდისინ ვერ დავცალე
შენი ფიალა,

ჯერ ამ გულშიაც ვერ მოვკალი
ტანჯვების ძალა,
მაშ კიდევ გვაღრებ მომახვიო
ვით ირისენი,
ზეცის ჰანგების ნაზი ხმები
მონარნარენი!

ვით ელის ღრუბელს მორცხვი ია
ბინაზებული,
რო გულს ცვარავდეს მისი ცრემლი
მიძინებული,
იმ რიგათ მწყურის დავიწყება
მე შენს სფერაში.
შენსა შვენიერს საიდუმლო
ჰანგთა ჟღერაში,
ჰა ჟღერენ კიდეც! ჩემი გული
იმ ხმაში დნება,
ვტირი, ვცახცახებ . . .ვდის ცრემლები . . .
ოჰ ნეტარება!



ფ—ს.

(ალბომში)

ისთვის ავიღო კალამი ხელში!
აბა ტანჯულ გულს რა ელექსება!
ჩანგს დაწყვეტია გრძნობის სიმები,
რითღა დავმღერო მე შენზე ქება!
ცით განდევნილი, ედემის ტრფობას
მარად მოსურნე, მარად მწყურვალი,
ვერ ეღირსება, ჰოი ქალწულო,
რომ კვლავ აღიძრას მის სულის ალი...
მარქვი ნეტაი რა ვათქმევინო
კალამს ჩლუნგარეს შენისეული?!
არ ღირს ერთ ჩირად ქალის შვენება
თუ არ უბრწყინავს მას ტურფა სული!

რ ა ფ ი ე ლ ს

Ერამც აყუჩო, ბერო, ორძალი,
მისი ნაზი ხმა და სიმთა ჟღერა!

არამც მოაკლო ჩაგრულთა გულებს
იმედის შუქი და ტკბილი ძგერა!
ჩაჰკა ფანდურსა, ჩაახმაურე,
ააშადრევნე ცრემლი და ლხინი,
კვლავ უგალობე ხევსურს სამშობლო,
კვალად გვასმინე მუშის ლიღინი!
სწვეთე, გასიპე ერისა სულში
მტკიცე კავშირი ძმა ძმათა მიერ,
მაშინ ქართველიც გრძნობით მოგძახებს:
„ჩვენო მგოსანო, მრავალ-ჟამიერ.“



ᲐᲒᲔᲠ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲡ ᲬᲧᲜᲐᲠ-ᲛᲘᲜᲐᲖᲔᲑᲣᲚᲡ
ᲛᲖᲘᲡᲐ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲘ ᲒᲣᲚᲡ ᲛᲘᲔᲤᲘᲜᲐ
და მათ იდუმალ მიმტკბარ სიყვარულს
ბულბულთა უძღვნეს ზეცის ნანინა,
ამის შემყურე ყოველი არსი
მეტისა გრძნობით მირინდებულა,
წყაროც ანკარა, ნაზ-მონარნარე
თვის ჰანგებშივე მიძინებულა.
შენ-კი სულ მუდამ რად გმინავ, სულო!
განაგდე სევდა მწარე, მგესლური

და ამ ბუნების ტრფიალოვნებას
შენცა მიუძღვენ ტკბილი ზევსური!

ნეტარებაა, როს ალტაცებით
შეტრფი ბუნების შვენიერებას,
როცა გატკბობენ მისი ჰანგები
და გფენენ ციურს ბედნიერებას.

ნეტარებაა, როცა გამხნევებს
გაჭირვებაში შენ მეგობარი,
შენი გულისთვის თავდადებული,
შენთვის ცოცხალი და შენთვის მკვდარი.

ნეტარებაა, როს შადრევანად
გულში ჩანჩქარებს მძლე სიყვარული,
როცა გაჟრჟოლებს სატრფოს ალერსი
და მისი ხმები მინაზებული.

მაგრამ რა უდრის იმ ნეტარებას,
როს ხალხს ქომაგობ თავგანწირული,
როცა სამშობლოს მთა-მინდორ-ველად

ისმის ხმა შენი მძლე და გმირული,
როს მტარვალობა, ბოროტებანი
შენ წინ გარბიან შეშინებული,
როს ერის ლოცვა, ერის კურთხევა
შენსკენ მოიღტვის აღტაცებული.

მაშ სად ხარ, გმირო! სად ხარ, გამოჩდი!
აფეთქე ბარემ ხალხისა სული!
მოწმინდე თვალზე ტანჯვის ცრემლები
და აგრძნობინე მას სიხარული!

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს.

(სიმღერა)

ამშობლო მხარე
რათ ხარ მწუხარე,
ჩაფიქრებული, თვალცრემლიანი?!
თუ გაგონდება
ძველი დროება,
შავ-ბნელი დღენი და დღეც მზიანი,
მარადის ბრძოლა

მტარვალთა სრბოლა,
თოფ-ზარბაზნების ჭექა-გრიალი.

თუ გაგონდება
ძლევა-დიდება,
შენს დროშაზედა მოციმციმარე
და უსჯულონი,
მტერთა ურდონი
შენი შვილების სისხლ მადინარე,
ომის გრიგალი,
ხმლების ბზიალი,
შაჰ-აბაზი და მამად მძვინვარე.

თუ გაგონდება
ძველი დიდება,
გმირთა კრებული, ბურჯი და ფარი:
ფარნაოზ, ვახტანგ,
ბაგრატ, დავითი,
ღვთაება ჩვენი ტურფა თამარი;
გიოგი გმირი
მტერთა გამგმირი,
მეფე ერეკლე ცეცხლის მკვესარი,
მასთან რუსთველი
ის ცის ნათელი

ზენაარ ლექსის ჩანგზე მკვნესარი.

თუ გელანდება
აწმყო ცხოვრება,
მიტომ ხარ ფიქრში, მით ხარ მდუმარე,
დაბირებანი,
დავიწყებანი
და მტერ მოყვარე, სხვებრ მაუბარე,
შენი შვილები
სიტყვით გმირები
ფინიასავით ლაქეც-მყეფარე,
კავკასიონი
გულბრაზიანი,
რისხვით და წყროვით გადმომცქერალე.

ეჰ, არაფერი!
გაქრა ვით მტვერი
ათასი წელი სულ შენი ნწკელი,
ეგრე დაშრება
ეგე წვალება,
წავა ზამთარი, გაქრება ბნელი,
შენია ბოლო,
ჩემო სამშობლო,
მოგიციმციმებს სწავლის ნათელი,

კვლა გაგიცინებს,
გაგიღიმილებს
ახალი სხივი, ახალი წელი.

Ალმოგიჩნდება
ახალ გმირთ კრება,
შენი მკურნალი, შენი დამცველი,
და მტერთა გროვას,
ნიანგთა ხროვას,
კვლავ მოევლების სიკვდილის ცელი.
კვლავ აყვავდები,
აფერადდები,
ვითა წალკოტი, ვითარცა ველი,
კვლავ ნეტარება
მოგეპკურება,
ჰე მას შევხარი და მას მოველი!.

მოსწავლე მეურნეებს.

ეი! გამარჯობა, ბიჭებო!
ისწავლეთ, გენაცვალები,
ისწავლეთ, თვარა ხო ხედავთ,
გაოხრდა მთა და ჭალები!
სოფელი კვნესის, სოფელი,
დინს ცრემლი ნაკადულადა,
ყუთმაჯა-კაკარდოსნები
შემოსევიან მტრულადა.
ისწავლეთ სამეცნიერო
ევროპის მეურნეობა,
რო მოუვლინოთ სამშობლოს
შვება და კეთილდღეობა.
აქ დაამშვიდეთ ქართველი,
მოუსპეთ მევახშეობა,
იქ გაამხნევეთ კახელი,
შეუვსეთ მიწის ხელობა.
იმერს და რაჭველს შეძინეთ
ახალი მიწა-მამული,
გურულს და მეგრელს აყვარეთ
მეურნეობა ქებული.
მთიულებს, მთელ საქართველოს

ოფლი მოწმინდეთ ღვარ-ღვარა,
უშველეთ, გაჭივრებამა
ხედავ რარიგად დაცარა!
მოჰფრინდით ერთად, ბიჭებო,
ხელ ჩაკიდული, ძმურათა,
დასძახეთ ერთი ნადური,
დასძახეთ თქვენებურათა!
ზედ აუკიდეთ ორერა,
დელა, ჰოპუნა, მუშური,
გაუხალისეთ სამშობლოს
ჩაგრული გული და სული.
ჩვენც თქვენთანა ვართ, ძმანებო,
ემაგ ფერხულში ჩამბული,
მუშებს ბანს გვეტყვის გრძნობითა
ტოროლა, ნაზი ბულბული.
ასე დავძახოთ, ბიჭებო:
ნუ გეშინია, სოფელო,
გულს გაშლის თქვენი ჯეჯილი,
იხარებს ვაზი და მდელო.
ავაპრიალოთ გუთანი,
ათასნაირი მანქანა,
დავარსოთ ამხანაგობა,
ურიცხვი დეპო-ქარხანა,
მოვსპოთ წურბელა-ჩარჩები:

შიმშილი, უმეცრებანი,
მივცეთ ხალხს მეცნიერება,
მივცეთ ახალი მცნებანი,
თვალზე შევუშროთ ცრემლები,
მოვუხშოთ გაჭირვებანი,
თუ გვინდა ერმა დაგვძახოს
ვაშა და ქებათ-ქებანი . . .
მაშ, ჰე, ბიჭებო ყოჩაღად!
ისწავლეთ, გენაცვალები,
ისწავლეთ, თვარა ხო ხედავთ,
გაოხრდა მთა და ჭალები!



სოფლელ გლეხობას

(მესტვირული სიმღერა)

ა ქამდე გწოვდათ ბატონი:
თავადი, აზნაურია,
ახლა გწოვთ ასი წურბელა:
ჩარჩი სომეხი, ურია;
მაგრამ არ შედრკეთ, ძმანებო,
არ გაიტეხოთ გულია,

მაგ სენიდანაც მორჩებით,
მოგეფრქვით სიხარულია!
აბა, ბიჭებო, თანაბრათ
შრომას მიყავით ხელია,
დააღულუნეთ სიმღერა
მუშების საქებელია.
გაფურჩქნეთ მიწის გულმკერდი,
გაავლეთ ბარ-გუთანია,
მერწმუნე, ვინც რომ იშრომა
ბოლო მას გაუტანია!
იკურთხოს მუშის მარჯვენა,
ქვეყნისა მარჩენელია,
იგია ერის სიმძლავრე
ცხოვრების სარძიკველია.
გლეხის ოფლი და ცრემლები
ჩანჩქერად დაღვარულია,
ეს საქართველოს მინდვრები
და მთები სულ მორწყულია,
ბევრი დაღვრილა... ბევრს დაღვრით...
—ცხოვრება ასე ძნელია!
მაგრამ მოგნახავთ მზის სხივიც,
გაჰქრება თქვენთვის ბნელია.
წავა ზამთარი მსუსხარე,
დადგება გაზაფხულია,

დადნება ტანჯვის ყინვებიც,
იხარებს მუშის გულია.
სწავლა, შრომა და ერთობა
გულში ღრმად ჩაიმარხეა,
ეს არის თქვენი მყობადის
თვით უმთავრესი ჩარხია!
იმხნევეთ, სიზარმაცესა
აბა რა მოუტანია!
თქვენია აწ მომავალი
ბურთი და მოედანია!
მაშ იმუშავეთ, ძმანებო!
დასძახეთ ზედ მუშურია,
თქვენთან მსურს სიკვდილ-სიცოცხლე
და თქვენთან შრომა მწყურია!.

პეპელა „ბარიშნებს“

(სიმღერა)

ანცი-მანცი, კოპწიობა,
სულ ხუნტრუცი, სულ სიცილი,
რა კარგია, რა კარგია,
ეს ამგვარი სულის ძილი!

Ესაქმობა, ულარდობა,
მუსიკა და კავალრები...
რა კარგია, რა კარგია
ნეტარებით მდინს ცრემლები.

სულ შლაპები, სულ კაბები,
სულ ტუფლი და სულ მოდები...
რა კარგია, რა კარგია!
ძილშიც იმათ ველოდები.

მალსი, პოლკა და მაზურკა,
სიყვარული, რომანები...
რა კარგია, რა კარგია!
მათთვის ჯვარზე ვეწამები.

რაღად გვინდა დედა-ენა!
ვერ ითვისებს ჩვენი სული...
რა კარგია, რა კარგია,
ვიტიტინოთ სულ რუსული...

რო არის, ძმებო, საქმეზედ ხელი!
მივცეთ ტანჯულ ერს რამე
(გზით ლხენა,
ვკურნოთ მოწამლულ იარათაგან,
ვმატოთ ძალ-ღონე, ავუდგათ ენა,
ავგლიჯოთ ობი უმეცრებისა,
გავაბედვინოთ სწორ გზაზე რბენა...
ვინც არ ინაღვლოს ჩაგრული ერი
გადიქცეს მხეცად, გაუწყრეს ზენა,
ჯილდოთ მიეცეს სამარადისოთ
ტანჯვა, წანწალი, გულ-ბრაზით ღრენა.

მცხეთას, ქართველებს.

(მეფე ერეკლეს საფლავზედ მცხეთაში გარდახდილ პანაშვიდის გამო.)

(ეს ლექსი გაგზავნილია დეპეშით ლიონიდან საქართველოში ლიონის ქართველ მოსწავლეთაგან.)

ამანო! ერეკლეს დიდ საფლავს
ჩვენგანაც კადრეთ ამბორი,

დაადეთ გრძნობის გვირგვინი
ჩვენის გულიდან ნასროლი;
ჩასძახეთ: გმირო, შენს ივერს
გარს დახვევია ყვავ-ქორი,
აღსდეგ და ერთიც შეგრგვინე,
გადააფრინე მთა-გორი . . . .

უცნობ ლამაზს.

ალში დგას ქალი, ტურფა ქალ-
[წული . . .
ჰო, რა ღვთაებრივ მინაზებულა!
თითქო მაისის კოკობი ვარდი,
დილის ნამ-თქორით დანამებულა.
მარმაშოვანსა სპეტაკ სამოსელს
ქორფა სხეული დაუფარია,
და მხოლოდ მკერდი, ნაზი გულ-მკერდი
გადაუშლია, გაუხარია,
ზედ აზილფებულ კოკობა ძუძუს
დარცხვენით თავი დაუხარია . . .
მის ბაწაწინა შიშველა ფეხებს

ქვეშ წვანე მდელო ეალერსება,
ვით აღზნებული შმაგი ტრფიალი,
ცვარავს, ადნება მთელი არსება.
ხელთ უკავია პაწია თოხი,
წმენდს, ასუფთავებს მარდათ ბილიკებს,
აცლის ბალახებს და ნაზი რხევით
უფურჩქნის მიწას ყვავილ-ბუჩქნარებს.
შრომობს, მუშაობს შვენიერება,
შრომისა ოფლი წარმოდენია,
ვით იმდოეთის მარგალიტები
შუბლზე მხიბლავათ გადაფენია.
შრომობს ქალწული . . . ირგვლივ ვარდები
ალისფერ ლოყებს გრძნობით შეტრფიან,
უკმევენ მუშაკს ციურ ზილფიალს,
მზერენ და მზერით ველარ ძღებიან,
ნაზ რტოთა რხევით, ფოთოლთ შრიალით
თითქო მადლობის ზავს დამღერიან.
შრომობს ქალწული . . . ჰა მომშუქარე
დიდმა მნათობმაც გაუღიმილა,
ეთეროვანი ოქროს სხივები
შარავანდედათ შამოაფინა,
უთხრა: ავროორავ, ამ ცინცხალ დილას
აქ სამუშაოდ რამ მოგავლინა!
შრომობს ქალწული . . . ვითა მინჯური

ცელქი ზეფირი თავსა ევლება,
ნელ მონარნარე ფარფატა ფრთებით
ჰაერს უგრილებს, ელოლაება,
ჰფენს სურნელოვან წმინდა მანტიას,
კოცნის და მარად კოცნით ეცლება.
შრომობს ქალწული... შრომის ლაზათი
პაწა ხელთაგან ჩქეფს, მოკამკამებს,
დაქრის, ცქრიალებს ნორჩი სხეული,
ეშხს და სიყვარულს აფრქვევს, ანამებს;
ჰა ტოროლამაც ხის კენწეროდან
ლაჟვარდ სივრცეში შეიფრიალა,
ცქვიტად, კისკასად იწყო ნავარდი,
ცას მოაბნია გრძნობა წკრიალა,
და იმ საამურ, მტკბარე ჟღურტულით
ქალწულის ქებაც ააკრიალა.
ქალი კი ისევ ფერად ყვავილებს
ზრუნვის ალერსით ეტრფიალება,
ვითა მშობელი თავის ქულფაქებს,
ეღუღუნება და ეფერება,
უხარის გული და სახის ელფერს
შრომის ხალისი ენარნარება.
შრომობს ქალწული... დიდი ხანია
იმას შეცქერის შავფრთა მგოსანი,
შეტრფის და კვირობს თითქო არ ჯერა

რომ იგი იყოს ამ ქვეყნისანი,
ბოლოს მოაწყო მან სალამური,
გრძნობა წარმტაცი, გულ გამკურნალე
და ჰა, გაისმა შორს მინდორ-ველად
ბულბულის სტვენა ნაზ-მოჟღერალე.
სმენამ მოიცვა მთლად არე-მარე,
გამეფდა ირგვლივ ნაზ-მდუმარება,
შეწყდა ნიავის ცელქი ნავარდი,
დადუმდა წყაროს ნელ მდინარება,
იმ სანეტარო ციური ხმების
სმენად გადიქცა მთელი ბუნება.
რა არ ისმოდა იმ ტკბილ ჰანგებში!
რა და რა გრძნობას არ აღვიძებდა!
ვით მუფარახი ტანჯულთ სალმუნი,
სულსა დაშხამულს ანეტარებდა.
ჩუ! ეს რა ისმის! ამ გალობაში
რაღაც ხმა ბგერის ტკბილ-სანეტარო!
ეს ხომ შრომისა ღაღადებაა,
ლოცვა-კურთხევა მუშაკთ სადარო!
«იყავ კურთხეულ, მუშის მარჯვენავ!
მუშავ, შენ გეთქმის ადამიანი,
შენში ციმციმებს ღვთის ნაპერწკალი,
შენ ხარ დიადი და მადლიანი!
ვითა ხრიოკსა უდაბნოს გულში

'წყარომ უეცრივ ამოჩქეფაროს,
ფიცხლავ შეცვალოს კვდარი ბუნება,
ააზურმუხტოს, ააელვაროს,
ამ რიგ შენც, მუშავ, შენი მარჯვენა
რასაც მიწვდება ის დალოცვილი,
თითონ ბიაბანს შეცვლის წალკოტად,
ზრუნავ ყველასთვის ერთგული შვილი.
შენა ხარ შენა, მუშავ მშრომელო,
ქვეყნის გვირგვინი, ქვეყნის დიდება,
მხოლოდ შენშიდა სუფევს, კაშკაშებს
კაცთ სიყვარული და ნეტარება,
შენგნით ცხოვრობენ ზარმაც-ვერაგნი,
მტარვალს და ჯალათს შენგან აქვთ რჩენა,
გულში გიღვივის ლმობიერება,
ზედაც ციალებს კურთხევა ზენა,
მაშ გაუმარჯოს მუშა ქალ-ვაჟებს!
მრავალჟამიერ თქვენი მარჯვენა! "...
ამათებს გალობს ნაზი მგოსანი,
მის ძილის-პირში კრთის ესე ხმები
და ეფინება შორს მინდორ-ველად
ზეცის მუსიკა, ზეცის ჰანგები.
გალობს ბულბული... და მუშა ქალწულს
ტკბილ ხმათ ბურუსი გარს ეფინება,
შედის ნელიად ნორჩ არსებაში,

საიდუმლოს რამ ეფუჩუნება,
ვით თაიგული მუმკ-ამბროვანი
გულსა ჩქროლვარეს ეგვირგვინება...
შრომობს ქალწული, გალობს ბულბული...
ოჰ, სიხარულო! ოჰ, ნეტარება!...

ამირანს.

ისხლით წერია ძლევის დროშაზე
შენი წარსული, შენი წამება,
ზედვე ციმციმებს ვითა ცისკარი.
ძველი დიდება და ნეტარება.
ცრემლით მოარწყულა ეს აწმყო შენი,
შავ-ბნელ ბურუსად გარს გეფარება,
მასში გამოკრთის მწარე ჰანგებათ
ერის კვნესანი და მწუხარება.
წარსულმა გიძვლნა გმირსა-ამირანს,
დაფნის გვირგვინი, შარავანდედი,
აწმყომ კი შენთვის გამოიმეტა
სხივ-მომფინარე ერთი იმედი.
დაფნის გვირგვინი თავსა გიშვენებს,

შარავანდედი გულს გეფინება,
შაგრამ იმედი, ტკბილი იმედი
საიდუმლო ხმებს გეტიტინება.
დაგმღერის, გმირო, რომ ვით წარსული
გაქრება აწმყო, ეს შავ-დღიანი!
მას გაყვებიან სამარადისოდ
კვნესა, ცრემლები, გოდვა ხმიანი.
დაგმღერის გმირო, რომ დაეცემა,
მძლავრი ზევესი, ულმო მტარვალი,
და შენ წინ ისრით მკერდ გაპობილი
სულს დალევს ორბი შენი მსახვრალი.
დაგმღერის, გმირო, რომ დაინსხვრევა
ბილწი კირთები, ბილწი მონება,
და, ვითა სატრფო, მიჯნურს, საყვარელს
გულში ჩაგიკრავს თავისუფლება.
ბუნება გეტყვის მრავალ-ჟამიერს,
მოგესალმიან ბარი და მთანი,
კვალად იგემებს ბედნიერებას
დიადი გმირი, მძლე ამირანი . . .



ფ—ს.

(სიმღერა,)

I

ჰა ჟღერს ჩანგი,
მას გულის ჰანგი
იდუმალ ხმებათ ენარნარება,
და ესრე ტანჯულს
სულსა დაჩაგრულს
უთინათინებს კვლავ ნეტარება.

რა რიგ დავჟღერო,
რით დავამღერო,
ჰოი ქალწულო, შენი შვენება!
მოციმციმარე
სახე მღიმარე
თვალს მოშორებად რათ ენანება!

ბულის მკურნელი
ეშხი მხიბლელი
შავსა თვალებში აყვავებულა.
მათზე სამწამნი

ტრფიალ-საწამნი
ჰო რა სინაზით მიძინებულა!

თითქო სუმბული
წალკოტში მბული
ლალი ტუჩები მორცხვად გაშლილა,
ნაზი ელფერი
ტრფობის მომბერი
რა სანეტაროდ ზედ გადაშლილა!

თმა ზილფოვანი
ნარნაროვანი
მხრებს ვით მიჯნური ელამუნება;
სურვილით მთვრალი
გულის ფანცქალი
კოკობთ ტკბილ ამბებს ეღუღუნება.

ფით შადრევანი
ფერადოვანი
ნორჩი სიცოცხლე აჩქეფებულა,
ცელქი ღიმილი
ბაგეზე შლილი
რა სამაცდუროთ დაკიდებულა!

ᲛᲛᲖᲔᲠ... ᲡᲔᲕᲓᲘᲐᲜ ᲒᲣᲚᲡ
ᲛᲘᲛᲙᲕᲓᲐᲠᲘᲜᲔᲑᲣᲚᲡ
ᲨᲐᲠᲑᲐᲗ-ᲐᲛᲣᲚᲘ ᲔᲤᲘᲤᲗᲥᲝᲠᲔᲑᲐ;
ᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ,
ᲔᲪᲘᲐᲚᲔᲑᲐ
ᲡᲮᲕᲐ ᲜᲔᲢᲐᲠᲔᲑᲐ, ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

II

ᲡᲣ, ᲡᲣ!... ᲩᲐᲜᲒᲣᲠᲘ
ᲬᲧᲜᲐᲠ ᲡᲐᲐᲛᲣᲠᲘ
ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲛ ᲰᲐᲜᲒᲔᲑᲘᲗ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ ᲯᲦᲔᲠᲐᲡ:
ᲡᲣᲚᲘᲡ ᲨᲕᲔᲜᲔᲑᲐ,
ᲭᲙᲣᲐ-ᲒᲝᲜᲔᲑᲐ
ᲡᲯᲝᲑᲡ—ᲡᲘᲢᲣᲠᲤᲔᲡ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲕᲔᲜᲔᲠᲐᲡ.

ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ
ᲕᲘᲡ ᲖᲔᲪᲘᲡ ᲐᲚᲘ
ᲒᲣᲚᲨᲘ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡ ᲩᲐᲡᲐᲮᲔᲑᲘᲐ,
ᲠᲝᲡ ᲡᲐᲗᲜᲝᲔᲑᲐ,
ᲚᲛᲝᲑᲘᲔᲠᲔᲑᲐ
ᲕᲘᲗ ᲙᲔᲚᲐᲞᲢᲐᲠᲘ ᲒᲐᲑᲠᲬᲘᲜᲕᲔᲑᲘᲐ.

ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ
ᲠᲝᲡ ᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲘ

ვერა თილისმით ვერ მორევია;
ცნობიერებას,
კაც-მოყვარებას
ქვენა გრძნობანი დაუძლევია.

იგია ქალი
გონების თვალი
როს დიდი სწავლით ახილებია;
ჭეშმარიტება,
მეცნიერება
თუ გულის წმინდით შეყვარებია.

იგია ქალი
თუ მისი ვალი
სამშობლოსადმი აღსრულებულა,
როს საქართველოს
ტანჯული გული
მისი ცრემლებით დაამებულა.

იგია ქალი
ვისით დამშრალი
სამშობლო ენა აღდგინებულა;
ერისა წყლული
შხამ-დაგესლული

სალბუნ-ნექტარით განკურნებული.

მას ეთქმის ქალი
ვის სიყვარული
მხოლოდ ერთისთვის გაღვიძებულა;
გრძნობათაგანა
ტრფობისა ნანა
ქმრის საფუფუნოდ დამღერებულა.

მას ეთქმის ქალი
თუ სულის ძალი
შვილს ტკბილ ძუძუსთან აწოებინა;
მტკიცე ზნეობით
და ხასიათით
იგი შემკული მამულს შესძინა.

მებადვის რწმენა,
მუსიკობს ენა,
ესური განვაგრძო კვალად გალობა;
მაგრამ უწყდება
ჩანგს სიმნი... დგება
გულიც ტანჯული, გრძნო დაღლილობა.

ჰა შეწყდა ჟღერა

რაცა ვთქვი მჯერა,
იგრძნობს ქალწული ლამაზ-გრაცია
და ამ ჰანგებსა
გრძნობის ნაკვესსა
ვიცი მოისმენს ტურფა ფაცია . . .

აჭირვება, ტანჯვები
ხო ქართველის ბედია,
მაგრამ გმირი ბუნებას
ფოლადათ უჭედია!
შერცხვეს იგი ჭაბუკი,
—ქალაჩუნა, ყბედია,
ვის გულშიაც გამქრალა
ბრძოლა და იმედია!

ᲫᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲫᲘᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ

(სიმღერა)

I

ოს ნაზოვანობს ბუნება,
ირცხვის, უმანკო ქალია,
აშვენებს წვანე ქათიბი
ყვავილით ნაქარგალია;
ზედ დაციმციმებს მაისი
სიყვარულისა მფინარე,
ნელ-ნელა კოცნის მიპარვით
ზეფირი მიმომცინარე;
როს მიძინებულ ვარდზედან
სტირის, სლოკინობს ბულბული,
მენატვრის იქა ეკდებოდე
სატრფოსგან დავიწყებული.

II

როს მდუმარებით მოსილი
ელვარებს კავკასიონი,
ცას ებჯინება მხარ-ბეჯი,
მკერდს უგრილებენ სიონი;

როს საიდუმლო იმედით
დამზერის საქართველოსა,
აწუხებს მისი კვნესანი,
ფიქრობს რით გაამრთელოსა,
როს მდელოზედან ნარნარით
მიმომზილფარებს მდინარე,
მსურის იმ ალაგს სიკვდილი,
იქ ვიყო მარად მძინარე!

III

როს ოლიმპიელ ნექტარით
მათრობდეს სიყვარულია,
მიმოკრთის კოცნის ჟღერანი
ალერსით მიქანცულია;
როს ნაზ-არირი ზილფები
ბროლის მკერდს გძნობით ეტრფიან,
ქორფა; ფუნთუშა, კოკბები
დარცხვენით იმზირებიან,
ბაგე სწოვს შარბათს ზეციურს,
თვალი თვალს შემღერებია,
გული გულს ეტიტინება,
გული გულს მისვენებია,
ოჰ, ნეტარების ცრემლები
ნამ ფქორათ დაპკურებია!...

მოდი, ჰე მაშინ, სიკვდილო!
მოვკვდე ამ სოფლად ნეტარი,
ზეცას მივყავდე სიყვარულს,
გულზე ვესვენო ცხედარი!

V

როს იმჭექარებს მყინვარი:
გაღვიძებულა ქართველი,
ილეწავს კირთებს ლომ-გმირი,
თენდება დღე სანატრელი,
როს ბანს მისცემენ გრგვინვარედ
მთა-ველი, ზღვა და მდინარე:
მოჩქეფს ვაჟკაცი ჯარ-ჯარად,
მტერზედან რისხვით მდინარე,
მოდის ქართლელი, კახელი,
წინ თუში, ფშავ-ხევსურია,
მოქრის იმერი, მეგრელი,
გურული მოსირმულია,
სვანი, აფხაზი, აჭარა,
მთიდან მთით გადმოსულია,
მათ გულებს კი ვენაცვალე,
სულ საქართველოს შვილია!
მომღერენ, მოაქვთ მთა-ბარი,
მტერთა დაუფრთხეს ძილია,

მტარვალთა გასაგმირავად
მახვილი გალესილია.
როს სანეტარო ბრძოლაში
მეც ვიდგე წინა რაზმშია,
ხმალ და ხმალ ვჩეხდე ურჯულოს,
ვავლო სიკვდილის არშია,
თვით ელვა-მეხი მრისხავდეს,
ერთიც ვაცოცხლო ასშია!
ომი სდუღს, ომი გრიალებს,
ჰო, იმუსრება თათარი!
ბარბაროსს ხმალი ქართველისა
ხაზართა სისხლით დამთვრალი,
მალ-მალ იელვებს ასოებით
წყდება და წყდება მტარვალი.
ხაროს მზე, ხაროს ბუნება,
ლოცავენ ქართველის გაჩენას,
მუსიკოსს სპერი, გურგანი:
ვაშა გმირთ და თქვენ მარჯვენას!...
ნეტარძი ის ჟამს! ჰე მაშინ
მოსიახლოვდი, სიკვდილო!
შვიდოსით, ძმანო, შვიდოსით,
მანდ მოვალ, მიწავ-დედილო!
მოვკვდე იქ ბრძოლის ველზედან,
იქ გამითხარონ სამარი,

გულს ჩამიხუტოს საშშობლომ,
მფინოს სიზმრების საფარი,
მესმოდეს მისი ნანინა,
ვწოვდე მის ძუძუს დამტკბარი.
ნიავი მფენდეს ზილფიალს,
ზვირთნი მომღერდენ ნარნარა:
იხარე! ლხინობს ქართველი,
ბედნიერებით დამთვრალა!

V

როს იელვარებს ცაზედან
ჭეშმარიტების ცისკარი,
განიკურნება მსოფლიო
ჩაგრულთა ცრემლით მკვნესარი;
მშუქარებს მეცნიერება,
ხალხს ეფინება ნათელი,
ძალას გრძნობს ადამიანი
ციურთ ცხოვრების მნახველი.
ჩადრ გადახდილი იმორცხვის
ბუნების საიდუმლება,
ინგრევა ძველი წყობანი,
მოჩქეფს ახალი ცხოვრება;
ენგრევა ბუდე სიცრუეს,
დნება მტეროობის მყინვარი,

ქრებიან ბოროტებანი
ბეჩავთა სისხლის მდინარი.
აღარ ულრინავს კაცი კაცს,
შვილს აღარ ყიდის მშობელი,
არ ილესება კალდიმი
მოძმეთა გულის მპობელი,
აგერ სულს ღაფავს მზიზღარეთ
ძალადობა და შურია,
კაცის მონანი გამხდარან
სამართალი და ფულია.
თოფი, ხმალი და ხანჯალი
გუთნებათ დადულულია,
ხედავ ხროტინობს მტარვალიც,
სიკვდილად მიწურულია!
ნგრეულან საპყრობილენი,
ინსხვრევა ჯაჭვ-ბორკილია,
წითლდება ადუკატები,
არ გადის მათი ტყუილია,
დაშლილან დიდი პალატნი,
მრუშობით წაბილწულია,
დამუნჯებულა ჯაშუში,
სარანგი გულ-მოკლულია,
აღარ ხმაურობს გუშაგი,
ჯალათი ხელ გაკრულია,
დამშრალან სისხლის გუბენი,

ალარ ძგერს ჯარის გულია,
დაულეწიათ კერპები,
მიწაზე დანარცხულია,
დღესასწაულობს სიმართლე,
ნეტარებს დაჩაგრულია . . .
კაცი მზერს ჭეშმარიტებას,
მის სხივში ბანობს სულია,
გულს ჩანთებია სუყველას
მოძმეთა სიყვარულია,
გუგუნებს ტკბილი ჰოპუნა,
იმკის საერთო პურია,
შემშრალა ცრემლი მშიერთა,
საერთო სიხარულია.
ცქრიალებს თავისუფლება,
ვით მოციმციმე ელვანა,
გამქრალა აზრის სიბნელე,
ჩანს ინათლება ქვეყანა!...
იქ მოვკვდე, ალარ ვინალვლო,
იქავ ამომხდეს ეს სული,
თავს მადგეს ჭეშმარიტება
ვით ზეციერი ქალწული.
მიტიროს თავისუფლებამ,
სიკეთემ იწყოს ქვითინი,
და სიყვარულმა დამადოს

გულზედან დაფნის გვირგვინი.
იქ დამასვენონ ვაზის ქვეშ
ნეტარებითა ავსილი,
მესმოდეს ზეცის ნანინად
ჩაგრულთა მღერა-სიცილი.
იქ ვიყო მარად მძინარე,
იქ მიღიმოდეს სიკვდილი,
ესაა ჩემი ნატვრანი,
ესაა გულის წადილი!....

სულის ფუფრვილი.

I

ეჰ, რათ არა მყავს მე მეგობარი
მოსიყვარულე, თავდადებული!
გავუხსნა გული, ვამცნო ტანჯვები,
ვამცნო სახმილი შიგ აღგზნებული!
გადავუშალო სული, გრძნობანი,
ცხოვრების კლანჭით სულ დაკაწრული,
ვამცნო წამება და გაჭირვება,

სულ მუდამ ბრძოლია თავგანწირული!
მწყურს რო მესმოდეს ხმა თანამგრძნობი,
ძმური სიტყვები, ტკბილი იმედი,
მსურს გამამხნეოს, გამასალკლდეოს,
რო ვძლიო მაინც ეს შავი ბედი!

II

ოჰ, რათ არა მყავს სატრფო-შვენება,
ვითა სუმბული მინაზებული,
რო მის ალერსში ვადნო ცრემლებათ
მთელი არსება... სული და გული!
ოჰ, რათ არ მესმის ხმა ზეციური,
ხმა სიყვარულის შარბათოვანი!
ოჰ, რათ არ მატკბობს მისი ტრფიალი,
მისი ლიმილი ეთეროვანი!
რათ არ ვმზერ თვალებს იისფეროვანს
იდუმალ ეშხით მოციმციმარეს!
რათ არ ვმზერ სახეს ტურფას, ზენაარს
ანგელოზივით მიმომღიმარეს!

III

სადა ხარ, სატრფოვ! სად ხარ, სულიკო
მფინე წამებულს ტკბილ-ნეტარება!

მსურს შენს ალერსში მე დავივიწყო
ტანჯვა, შავ-ბედი, ბილწი ცხოვრება!
მსურს მაგ თვალებში მე ამოვკრიფო
ახალი ძალა და გამარჯვება.
მაშ სად ხარ, სატრფოვ! გამოჩდი მალე!
შენც, მეგობარო, ნუ ხარ ფარული!
ნუ თუ არას დროს არ მელირსება
არც თანაგრძნობა, არც სიყვარული?!

ჩემს მოღალატეს.

ითქო ქალწული მინაზებული
გაღვიძებულა ტურფა ბუნება,
ხედავ მნათობიც ვითა მიჯნური
რა სიყვარულით ელამუნება!
ჰა, ჩიტთა გროვამ საამური ხმით
ტრფიალთ მიუძღვნა ტკბილი ზევსური,
ყვავილს, სულიერს, თვით ხეთა ფოთოლს
დაეტყოთ გრძნობა და სიხარული.
აგერ ჩემ წინა ნაზად ზილფარებს
ანკარა წყალი გულ-ვერცხლოვანი,

შიგ იმზირვიან იდუმალობით
ალვა და ცაცხვი სურნელოვანი.
ხედავ რა ლაღად მოაპობს ზვირთებს,
მოდის, მოცურავს ლამაზი გედი!
—რა ედარდება ბუნების შვილსა
ქვეყნის ვარამი და ქვეყნის ბედი!
ხედავ ჯინჭველას აგერ შენწინა
რა სიხარულით შეუდგა შრომას!
ხედავ იქ ბალახს ბუჩქში მიმალულს,
თითქო მის გულიც აფეთქებს გრძნობას
შენ, ჩემო სულო, რათ ხარ მოწყენით?
რათ ჩაგიცვია გლოვის სუდარა!
ნუ თუ შენთვისა დღემან მზიანმან
ერთი მაინც არ გამოიდარა!
ნეტავ რად გმინავ სულ ეგრე მწარეთ!
რათ ხარ მწუხარე და სევდიანი!
რათ ხარ სულ მარად დარდის ბურანში!
რაფ ხარ ეგეთი შავ-ბედიანი?!
ნუ თუ ნათესავთ მელა-ძუობამ
შეგასვა მწარე შხამის ფიალა?!
ნუ თუ მეგობრის ურცხვმა ღალატმა
გულში სახმილი აგიბრიალა?!
ნუ თუ ნაცნობთა ტკბილი იმედნი
დადნენ ვით თოვლი, ვითა ყინული

და ამ სიშორეს, აქ უცხოეთში
დაგტოვეს ობლათ თავ-განწირული?!
ჩაგაგდეს ხრამში სადაც შიმშილი
გემუქრის მარად პირ-დაღრენილი
და ვერ გიშველის იმ ვეშპისაგან
ვერცა ვედრება და ვერც ტირილი!...
დეჰ, ეგრე იყოს!... გაუძელ, სულო!
დაგმე იმათი ბოროტებანი!
ეძგერე შიმშილს და გაჭირვებას,
დეჰ სცადე კიდევ ბედის რისხვანი!
დეე წამლავდეს შენსა არსებას
ნათესავთ ქვენა მაცთურებანი,
დეე, ვით ქია გიღრნიდეს გულსა
მეგობრის მწვავე ღალატებანი!
დეე ჩაიფლან ნაცნობთ იმედნი
დავიწყებისა მყრალ ჭაობაში,
შენ მაინც იდეგ, იდეგ მამაცად!
არ დაიკვნესო ერთიც ბრძოლაში!
არამც გააგდო ხელიდან დროშა,
შენი მიზნების წმინდა ნიშანი!
არ შეუშინდე ცხოვრების ზღვასა,
თუნდ დაგიშინოს ზაირთების მთანი!
დრო მოვა და თვის შვილსა მოყვარულს
გაგიღიმილებს შენი სამშობლო,

ნაცნობ-ნათესავთ მეცლა-ძუობას
და ვერაგობას მოეღის ბოლო,
დრო მოვა და ის ძმის მოღალატე
წასდგება შენ წინ, ვითა იუდა,
პირ-შავი, მყრალი, ზანგისა სახის,
ზარმაც-ცბიერი, სიცრუის გუდა!
რა უნდა გითხრას? რით იმართლებს თავს?
—ფურთხის ღირსია ის საჩიზღარი!
სულით მახინჯი, გულითა ურგძნო,
ცხოველთა შორის ზნეობით მკვდარი!...
მაშ მანამდისინ ითმინე, სულო!
გმირე შავ-ბედის მწვავე რისხვანი,
მოვა დრო და შენც გამოგიდარებს,
გაქრება ტანჯვა-გაჭირვებანი!...

პ ე პ ე ლ ა.

(ფრანგულით.)

ინდვრების შვილო თავისუფალო
ნაზ-მონარნარევ, ტურფა პეპელა,
რა რიგ მოაგენ ამ საპყროპილეს!

აქ შამოფრენა შენ ვინ გიშველა!
აქ დღის ნათელიც ველარ ახერხებს
ჩამოანათოს ვიწრო სარკმელში,
თვით მზის სხივები ვერც კი ბედავენ
მომესალამონ ამ ბნელ დილეგში!

Ექნებ ბუნებამ მოგცა, ლამზო,
გული გრძნობარე და სიბრალული
და მიტომ მოხველ, რომ ეგრე ტანჯულს
მფინო ნუგეში და სიხარული?!
ოჰ, შენის ხილვით, ჰაეროვანო,
ალარ მაშინებს მე შავი-ბედი,
გულში იშლება ვითა ყვავილი
ახალი ძალა, ტკბილი იმედი....

Ველ-მინდორისა შვენიერებავ,
აამუსიკე ეგ შენი ენა!
მამცნე ბუნების თავისუფლება,
ყვავილთ ალერსი, წყაროს მოლხენა,
მამცნე ჩანჩქერის გიჟი შუშპარი,
ხლვისა დუმილი და გულის ძგერა,
მამცნე ფოთლების ნაზი შრიალი,
ცელქი ნიავის ტრფობა და ფრენა.

ხო ნახე როგორ იშლოდა ვარდი!
ხო შეხვდი მიჯნურთ ტრფობა-ნადიმსა!
მითხარ მაისის ტკბილი მოთხრობა,
მითხარ ამბავი განთიადისა!
მითხარ, ხო ნახე როს მოფრინავდი
ბუჩქში მღერალი ნაზი ბულბული!
და ხომ უსმენდა ჰანგებს ზენაარს
მთელი ბუნება სულ-განაბული!

ტყვილა დაეძებ მაგ შავ-კედლებზე
სურნელოვანსა ქორფა ყვავილებს!
რას ნახავ მანდა, თუ არ ტყვეების
ტანჯვის მოთხრობას და მწარე ცრემლებს!..
აქ ჩაბნელებულ თაღებთა შორის
ზმუის სიკვდილის გლოვისა ზარი...
აქა მზერ მხოლოდ საზიზღ ბორკილებს,
აქ გესმის მხოლოდ კვნესა დამწვარი!...

ცელქო ბალანავ ველ-მინდორისავ,
წადი, მოშორდი ამ საპყრობილეს,
—წუთიერია შენი სიცოცხლე,
შეეთამაშე გარეთ ყვავილებს!
გაფრინდი, ნაზო, ამ შავ-ბინიდან,

სადაც ბატონობს ტანჯვა-წამება,
შენი ჯაჭვია შენი სურვილი
და საპყრობილე, ტურფა ბუნება....

მარსელიეზა.

(რუჟე-დელილიდან, ფრანგულით.)

ამანო, ისმიეთ, ძმანო!
გმირობის დღე თენდება,
ჩვენდა მოსასპობელად
მტარვალთ დროშა იშლება.
ხედავთ, ეგერ ველზედა
მოქრის ულმო ლაშკარი,
სურთ ერთიან მოგვისპონ
ცოლ-შვილი და სახლ-კარი!
—ხმალს იკარ ხელი, ძმანო!
ვეძგეროთ მათ გმირულათ,
ვჟლიტოთ, ვჟლიტოთ მტარვალი
ძველებურათ, ფრანგულათ!

რა სურთ ამ მოლალატეთ,
მეფისათვის შეფიცულთ,
მონობისა ძელზედა
მაგრათ მიკრულ-მიჯაჭულთ!
ძმანო, ერთად შევაკვდეთ
თავ-განწირულ ბრძოლაში!
—ვინ გვიბედავს ჩაგვყაროს
ისევ ძველ მონობაში?!...
—ხმალს იკარ ხელი, ძმანო!... ბ სხ.

როგორ! უცხოელთ ჯგუფი
აქ ჩვენ გვებატონება!
გვისპობს ენოს, ეროობას,
კიდეც ვვეპატრონება?!
ზეცავ, სად არს სიმართლე!
ნუ თუ შენ ხარ მსურველი
მზიზელი მტარვალი გახდეს
აქ ჩვენი ბძანებელი?!
—ხმალს იკარ ხელი, ძმანო!... ბ სხ. .....

ვაი თქვენდა, მტარვალო,
და თქვენც, მოღალატენო!
რისხვა თქვენზე მოსულა!
ბორტებისა ჩაშლენო!

თუ გინდ გავწყდეთ ბრძოლაში
აქ მამულს შვილები,
კვალად წარმოიშობა
სულ ახალი გმირები!
—ხმალს იკარ ხელი, ძმანო!... ⁂ სხ. .....

ძმანო, ცხარე ბრძოლაში
გვმართებს ჩვენ სულ-გრძელობა,
ვზოგოთ მონობის მსხვერპლი,
ეს უგნური მხედრობა!
მაგრამ სიკვდილი მტარვალთ!
სიკვდილი მაგ ნადირებს!
ხმალი მოღალატეთა!
ხმალი ბოროტის შვილებს!...
—ხმალს იკარ ხელი, ძმანო!... ⁂ სხ. .....

სამშობლოს სიყვარულო,
იყავ ჩვენი მფარველი!
თავისუფლებავ ტკბილო,
მოგვიმართე შენც ხელი!
მოგვაფინე დროშაზე
გმირობისა ნათელი,
რო მტერმაც ნახოს ჩვენი
გამარჯობა, სახელი!
—ხმალს იკარ ხელი, ძმანო!... ⁂ სხ. .....

შემდეგ ასპარეზზედა
გამოვალთ სამოქმედოთ,
რომ შვილებს მივცეთ ცოდნა,
ძველ-გმირები ვადიდოთ,
მათ მაღალ სათნოებას
ვცეთ მდაბალი თაყვანი,
რო მით მშვიდათ ირწოდეს
საფრანგეთის აკვანი,
ზედაც თავისუფლების
ისმოდეს ნანა მტკბარი...
—ხმალს იკარ ხელი, ძმანო!
ვეძგეროთ მათ გმირულად,
ვჟლიტოთ, ვჟლიტოთ მტარვალი
ძველებურად ფრანგულად!...

(ვიქტორ ჰიუგოდან, ფრანგულით.)

ეუ გეზიზღებათ, ნუ, დიაცი ნამუს
(ახდილი,
სულ-დაცემული, უპატრონო, იმედ-მიხ-
(დილი!

ვინ უწყის რამდენ გაჭივრებას ის უძლეევია,
ვინ უწყის რამდენ მწვავე შიმშილს ის
[უთრეევია!

როცა ცხოვრების ულმო გრიგალი
ლეწდა და გლეჯდა მის სათნოებას,
ნუ თუ ვერ მზერდი საბრალო დიაცს,
მის ბრძოლის, ხვეწნას და სასოებას!

ნუ თუ ვერ მზერდი მის ხელის პოტინს,
მის ტანჯვას, ცრემლს და განწირულებას?!
დაეცა იგი ვით ბრწყინვალე კამკამა წვეთი
ხის ტოტისაგან ნიავ-ქარით უცებ მომწყ-
(დარი,
წვეთი ალმასი დაცემამდე, სხივთა მანათი,
დაცემის შემდეგ, ოჰ ტალხი ბილწი და
მყრალი!

ვისი ბრალია მისი დაცემა?!
ვინ მოუწამლა მას ქორფა სული?!
—იმის ჯალათი ვართ მხოლოდ ჩვენა,
შენა, მდიდარო, და შენი ფული!...
მაგრამ ტალახში იმყოფება კვლავ წმინდა
[illegible] (წყალი,
რომ იგი სრულად გასუფთავდეს სიბინ-
[illegible] (ძვრიდან,
[illegible]

და რომ დაიწყოს წინანდულად კრთოლვა-
(ბზიალი,
სპეტი კამკამი, ელვარება მინაზებული,
საჭირო არის ან მზის სხივი ან სიყვარული!



ყო სალამო წყნარი როგორც ტრე-
(დის ღულუნი,
მინაზებული, საოცნებო და საამური,
ემშვიდებოდა მზისა სხივი ქორფა ბუნებას,
თითქო მიჯნური აღზნებული ვნება მზვი-
(რთარე
გულში ეკვრობდა და აფრქვევდა ტკბილ
(ნეტარებას.
და თვით ბუნება ვით უმანკო ნორჩი ქალ-
(წული
ტრფობისა ალით და სირცხვილით მთლად
(წითლდებოდა.

Ვიდექ მარტოკა და შევხარობდი
ამ საოცნებო გამოსალმებას,

მზის გულის ძგერას, უცებ გაქრობას,
ბუნების კვნესას და მწუხარებას,
ცას ფერადოვანს ვარდებათ გაშლილს,
და, თითქო ნავებს ფირუზ ზილფებში,
ფუნთუშა ღრუბელთ ნელ ქანაობას...
ვუსმენდი ყვავილთ ჩუმალ საუბარს,
ვუსმენდი ჩიტთა ტკბილსა გალობას,
მესმოდა წყაროს ნელი დუდუნი,
ვუსმენდი ფოთოლთ ნაზს მდუმარებას
და ჩემი გულის სათანაგრძნობო
ჰანგების ჟღერას და ჩქროლვარებას...

იქ ვიჯექ ქვაზე განშორებით
ფიქრებ გართული,
იქ ჩემსა მიზნებს, სანატრიონთ
ვესაუბროდი,
იქავ მესმოდა თვით ბუნების
გულის ფანცქალი,
იქ ზეცის ფირუზს და ნაზფერებს
მე შევხაროდი,
იქ ვგრძნობდი იქა რო მეც ვიყავ
ბუნების შვილი,
იქ დამვიწყოდა სინამდვილე...
იქ ვნეტარობდი...

და ჩემ წინ ვითა ფერადი ხალი
გადაშლილიყო ტურფა ბაღნარი,
ზედ ბიბინებდა ნაზ-მოელვარე
ყვავილ ნაქარგი ქორფა მოლნარი.
იქ შადრევანი პირს ბანდა ვარდებს,
იქ ნავარდობდა ცექი ზეფირი,
იქა შროშანა იას ეტრფოდა,
იქა კოცნიდა ნარგიზს სუმბული,
იქვე უკრავდა ზეცის სალამურს,
ეშხით დამთვრალი ნაზი ბულბული...

იქა ცელქობდენ დათამაშობდენ,
ვით ანგელოზნი, ტურფა ბავშები
და ჩიტთა ჟღურტულს ბანსა აძლევდენ
მათი კისკისი და მათი ხმები...
—იცელქეთ, შვილნო, იმხიარულეთ,
სანამ ხართ კიდევ თავისუფალი,
სანამ ცხოვრებას არ მოუდვია
მონის ბორკილი და მწვავე ბჭყალი,
სანამდე კიდევ არ გაგიცვნიათ
უსამართლობა, ძალადობანი,
სანამდე გძინავთ ოცნების ფრთაზე,
სანამ არ გესმის კაცთა ვნებანი,
სანამ გიღიმით ცა და ბუნება,

სანამ ძგერს კიდევ უმანკო გული,
სანამ ათქორებს თქვენს ნორჩ არსებას
დედის ალერსი და სიყვარული,
ოჰ, სანამ თქვენ ძილს უთინათინებს
ზეცის სიზმარი და სიხარული....

იქ ვიდექ, იქა
და შევტრფოდი ტურფა ბუნებას,
... იქ მთელი სფერო
იყო ქორფა და უცოდველი,
იქ დამვიწყოდა
ეს ცხოვრება, ეს შავი ბედი,
იქ მეგობრულად
მილიმოდა მე ყველაფერი,
დრო გამოშვებით
მოისმოდა კაცთა გუგუნი,
მათი მზიზღი ხმა,
ხმა ბოროტი და ბიწიერი,
არღვევდა ერთ წუთს
ამ საერთო სიშვენიერეს,
მაგრამ კვლავ მალე
გაქრებოდა, ვით მყრალი მტვერი...
იქ თითქო ცოდვილს
და წამებულს შემრიგებოდა

და მილიმოდა
მშობლიურად ნაზი ბუნება,
იქა მესმოდა
საიდუმლო მის ჰარმონია,
იქ მიმაფრენდა
თავქეიფა ცელქი ოცნება,
მიმაცურებდა
ნებიერად უსრულ ეთერში
და გულს მეფრქოდა
ზენაარი მე ნეტარება...



(სიმღერა.)

მიყვარს ის მხარე სადაც ბუნება
ათას ფერებათ მინაზებულა
და დიდებულის კავკასიონის
ტრფობა-ალერსში მიძინებულა.

მიყვარს ის მხარე სად მდინარენი
ვერცხლოვან ზილფებს მიმოისვრიან,
სად ხავერდოვან მდელო-კორდებზე
ია და ვარდი სუმბულს შეტრფიან.

მიყვარს ის მხარე სადაც შხუილით
მოჰქუხს, მოღელავს გიჟი ჩანჩქერი,
სად ცამდე აწვდილ პიტალო კლდეებს
მკერდს უგრილებენ არწივის ფრთენი.

მიყვარს ის მხარე სადაც იფრქვიან
ახალ-გასხლულის ვაზის ცრემლები,
სადაც სიყვარულს ასალამურებს
მინაზებული ბულბულის ხმები.

მიყვარს ის მხარე რომლისა ერი
ყველა ერებზე შვენიერია,
გმირი, უდრეკი, მხნე და მამაცი,
უხვი, მომლხენი, გულით მთელია.

მიყვარს ის მხარე სად დარწებულა
ფარნაოზისა დიდი აკვანი,
სადაც წინ უდგენ ერს რკინის ფარად
კურაპალატი და გორგ-ასლანი.

მიყვარს ის მხარე, სადაც დავითი
ქმნიდა, აჩენდა ქართველთ დიდებას.
სადაც წირავდენ თავსა გმირები
ტანჯულ სამშობლოს და ეროვნებას.

მიყვარს ის მხარე სადაც ბრწყინავდა
შვენების ღმერთი, დიდი თამარი,
სადაც აჟღერდა ჰანგებს ზენაარს
ჩვენი სუმლნათის რუსთველის ქნარი.

მიყვარს ის მხარე სადაც გრგვინავდენ
დიდ-მოურავის მრისხვანე ხმანი,
სადაც აპობდა მტარვალთა გულებს
პატარა-კახის მამაცი ხმალი.

მიყვარს ის მხარე სადაც ათას წელს
ისმის ტანჯვები, გოდვა, კვნესანი,
სად სისხლით შავად შეღებულ კლდეზე
მიუჯაჭვიათ მძლე ამირანი.

მიყვარს ის მხარე სად მთა და ბარი
ივერთა ძვლებით არს მოფენილი,
სად კავს და გუთანს ბანს აძლევს კვნესით
ჩაგრული მუშის მწარე ღიღინი.

მიყვარს ის მხარე სად ნავარდობდენ
არაბ-მანღოლი, სპარსი, თათარი,
სკვითი, ბერძენი, ლეკი, თურქმენი,
თემურ, შახ-აბაზ და მამად-ხანი,

მაგრამ ვერ დასცა მტერთა გრიგალმა,
ვერ დაამარცხა გმირ-ფალავანი!...

მიყვარს ის ხეარე სადაც ძგერს მარად
მამულისადმი მძლე სიყვარული,
სადაც ბარაბაროსთ ვერ ჩაუქვრიათ
ციური ენა, ენა ქართული...

მიყვარს ის მხარე სადაც შავ-ნისლად
გადაფარვია მას მწარე ბედი,
მაგრამა მუდმივსა ტანჯვა-წვალებას
ვერ წაუშლია გულში იმედი!

მიყვარს ის მხარე სადაც პირველად
აძგერებულა ეს ჩემი გული,
სად მიწოვნია მშობლისა ძუძუ,
სადაც მიცვნია ჩემი მამული.

მიყვარს ის მხარე და მეყვარება
სანამ მლვიძარეს ეს ჩემი სული,
თუ დავინანო მისთვის სიკვდილიც
—სამარადისოდ ვიყო წყეული!....

ერთ-ქალს.

(ვიქტორ ჰიუგოდან. ფრანგულით.)

ო ვიყო მეფე ძლევა-მოსილი
ჩემსა სამეფოს შენ მოგართმევდი,
მთელს ჩემს დიდებას, პორფირს ტ გვირგვინს
პაწია ფეხ-ქვეშ დაგილაგებდი,
ერსა, მხედრობას, ჯავშნიან გემებს
შენის ბრძანებით ვარონინებდი,
მხოლოდ რომ შენსა ერთს გამოხედვას,
ჩემო შვენებავ, თუ მაღირსებდი!...

რო ვიყო ღმერთი... ცას, დედამიწას
ზღვასა და ხმელეთს გითავაზებდი,
დემონს, ანგელოზს, ედემს, ჯოჯოხეთს
შენსა სურვილებს დავუმონებდი,
დროსა და სივრცეს, სრულად მსოფლიოს
შემქნელ სტიქიონთ და უკვდაებას
მცირე ფეშკაშად დაგილაგებდი
და შენ მათ მეფედ, იმათ დედოფლად
სამარადისოდ დაგაბრძანებდი,
მხოლოდ რომ შენსა ერთს ტკბილსა კოცნას,
ჩემო ღვთაებავ, თუ მაღირსებდი!...

სურვილი.

I

ინდა რო ვიყო მერცხალი
ცქვიტინა ტკბილი ხმიანი,
გავისრიალო, გავცურო
ჰაერი ლაჟვარდიანი,
მთა-გორი, ველი, მინდორი,
ზღვა ფირუზ-ზვირთებიანი,
მოვშორდე პარიზს-ბუმპერაზს,
—მახეა თილისმიანი...
ნუ ვუმზერ ბრძოლას ლუკმისთვის,
ნუ მესმის ხალხის ღრიალი,
ბურჟუას ლხინი, განცხრომა,
მუშის კვნესა და წრიალი!
არ მხიბლენ დიდი პალატნი
მდიდრული, ქანდაკიანი,
არც მოედანი, ბაღები,
სულ ყვავილ-შადრევნიანი,
არცა ბულონი ქებული
წალკოტი ზურმუხტიანი...
არა, არ მხიბლენ ტურფანი,
ნარნარა, მოტიტინარე,

ნაზი ღიმილი, თვალები
ეშხითა მოციმციმარე,
თვით სატანისა მაცთუნი
ვნებისა ზღვა და მდინარე...

II

ერა, სხვა მინდა სხვას ვეტრფი
სხვა არის ჩემი სურვილი,
იქ მიჰქრის ჩემი ოცნება,
ის არის ჩემი წყურვილი.
მსურს მივცქრიალდე ჭიკჭიკით
ვიხილო ჩემი ქვეყანა,
ჩემი ტანჯული სამშობლო,
დავიწყებული ყველგანა.
მსურს ვინახულო მე კვალად
მისი ედემის შვენება,
ლამაზი მთანი და მდელო
ყვავილთა ფერადოვნება,
წყარონი, ბროლის ჩანჩქერი
და მდინარენი მზილფარე,
ვაზით შემკული კორდები
გულზე სიამის მფინარე,
ველზე გაშლილი მოლნარი
ნიავზე მობიბინარე,

და პურის უხვი ყანები,
— ყვითელი ოქრო ბზინვარე...
მსურს მათი მზერით ვიხარო,
ვგრძნო ზეცის ნეტარებანი,
გულმა დამღეროს ზევსური,
დამღეროს ქებათ-ქებანი,

III

Iქა მსურს კვალად ვიხილო
იმ ტურფა ქვეყნის შვილები,
მებრძოლი, გაუტეხელი,
ძველად ქებული გმირები,
დღეს წვალებაში აღზდილი,
დასჯილი, დატანჯულები,
მაგრამ კვალინდებრ მომლხენი,
უხვი და გაბედულები,
იმედით გამხნევებული
ისევ ძგერს მათი გულები,
მსურის იმათთან ვიშროომო,
გავიყო ჭირი და ლხინი,
ერსა მოვწმინდო ცრემლები,
პირზე მოვგვარო ღიმილი'
იმათთან ვძახო ჰოპუნა,
ჰორერა, მუშურ-ნადური,

ვუსვა ცელი და ნამგალი,
იმათთან ვუკრა ჩანგური.
იმათთან ვლესო მეც ხმალი
მტარვალთა გასანადგური,
მით შევქნათ ბედნიერება
მით ვიხსნათ ჩვენი მამული.
იმათთან მინდა სიცოცხლე,
მათთან მენატრის სიკვდილი,
საერთო „მრავალ-ჟამიერ“,
საერთო გულის წადილი...

IV

იქავ მსურს დავიცქრიალო,
გადავიფრინო ყველგანა,
ჩემის ნავარდით, ჭიკჭიკით
ვალხინო ცა და ქვეყანა;
შემოვჯდე ხის კენწეროზე,
ვიწყო საამო ჟღურტული,
ვახარო ზამთრის მიწურვა,
ვახარო მათ გაზაფხული,
იქავ მსურს კვალად ვიხილო
ვერცხლ-ზილფოვანი რიონი,
ცელქურად მიმოცეკვარე,
მომღერი, ტკბილი ხმიანი,

—ის ჩემი ძველი ძმობილი,
ის ჩემი სანატრიონი...
მსურს ვინახულო მის პირას
ძვირფასი მამის საფლავი,
სამშობლოს ჩახუტებული,
მძინარე ჩემს უნახავი,
მსურს ვეამბორო სავანეს,
ვკითხო მოხუცის ამბავი,
ზედ მოვაფრქვიო გულდრუკად
ცრემლები გულის საწვავი,
მერე შევცურდე ეთერში,
მოვაწყო გრძნობის სიმები,
თვით ზეცას გავუზიარო
ჩემი მკვნესარე ჰანგები.

V

მსურს ვნახო ეზო, სახლკარი,
—ის ჩემი ყრმობის აკვანი,
ბალი შემკული ხეხილით
და ჩეროვანი მოლნარი.
იქ გავიხსენო ბავშობა,
ტკბილი ოცნება-სიზმარი,
მწვანეზე გორვა, ცელქობა
უმანკო სიცილ-ხარხარი,

იქ მიძინება ლეღვის ქვეშ
და ძიძის ნანა-ზღაპარი.
იქა მსურს კვალად ვიხილო
მთვარისა ნაზი ღიმილი,
მისი ნარნარა სხივები
ფოთლებში გამოსროლილი.
იქ გავიგონო ბულბულის
მინაზებული ტურული,
ის სამიჯნურო კვნესანი
გულში რომ აჟღერებული.
მსურს იმ ჰანგებში ჩავადნო
ჩემი შავ-ბნელი წარსული,
ბედისა მტარვალობანი,
შხამი მისაგან შესმული,
მარადის ბძოლა, წვალება
და შრომა გამუდმებული.
მსურს მოვინათლო იმ ხმებით,
ვიგრძნო კვლავ ნეტარებანი,
მესმოდეს მნათობთ ღუღუნი
ბუნების ნაზი მღერანი.
იქ მიმეძინოს ბუჩქის ქვეშ,
ვარდმა მასხუროს სურნელი,
ბულბულმა აკრთოს ნანინა,
მთვარემ მაფინოს ნათელი,
ზეცამ მაფრქვიოს სიზმარი

ფუშანკო, ფანტაზიური,
ნიავმა მითხრას ზღაპარი
ის წინანდული... ბავშური...
კვლავ მაგრძნობინონ სიცოცხლე,
კვლავ გამიკურნონ ეს გული,
ცხოვრების უსამართლობით
ტანჯული, მისუსტებული...
ეჰ, მსურს რო ვიყო მერცხალი,
ცქვიტინა, ტკბილი ხმიანი,
გავისრიალო, გავცურო,
ეთერი ლაჟვარდიანი,
მთა-გორი, ველი, მინდორი,
ზღვა ფირუზ ზვირთებიანი,
მოვშორდე პარიზს ვერანას,
—მახეა თილისმიანი!...

(სიმღერა.)

I

იხილე ვარდი როცა სინაზით
მაისის დილას ის იშლებოდა
ტ მის სურნელი ტკბილ-სანეტარო

მორცხვად ბუნებას ეფინებოდა.
მას ულიმოდენ მზისა სხივები,
ცელქი ნიავი ეთამაშოდა,
სასიყვარულო ბულბულის ხმებიც
ვით ზეცის ცვარი გულს ადნებოდა.
ვუმზერდი იმის სიშვენიერეს,
ჩემი თვალები იმას შეტრფოდა,
ოჰ, ის მიმაჩდა ციურ ღვთაებათ,
მისთვის სიკვდილიც მენატრებოდა!...

II

ვნახე ის ვარდი როდესაც სახე
ურცხვად საქვეყნოდ გარდაეშალა,
ნექტარის ნაცვლად მისი გულიდან
წვეთდა ძიმწარე, შხამი, სამსალა.
მას დახვეოდენ მატლი და მწერი,
ჩაბუდებოდენ შიგ ბოროტ ძალათ
და წინანდელი უმანკოება,
ეშხი, სინაზე გამოეცალათ.
ვნახე დამჭკნარი მისი ლოყები,
ყვითელი ფერი როგორც ზაფრანა...
—ეს საზიზღარი სანახაობა
თვალმა იოცა, გულს შეეზარა...

(სიმღერა)

I

ვეყნად ვეძებდი სიყვარულს,
გული იმისთვის დნებოდა
მისთვის არ მშურდა სიცოცხლე,
სიკვდილი მენატრებოდა,
ის შწამდა კერპად, ღვთაებათ,
სამოთხეთ მეხატებოდა,
მაგრამ ვერ ვპოვე ბედ-შავმა,
სული უმისოდ მხდებოდა...
ვისაც ვნახავდი შავ-თვალას
ცის ხატათ მეჩვენებოდა;
—ანგელოზების სხეულში
სატანა იბუდებოდა...
მაშინ დავწყევლე ქვეყანა,
—შემბრალდა ვინც ტყუვდებოდა,
ვთქვი: სიყვარული არ არის!
—გულს ცეცხლი მეკიდებოდა...

II

ᲫᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲕᲔᲫᲔᲑᲓᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲡ,
—ᲕᲘᲞᲝᲕᲔ ᲛᲔ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ,

გადავუშალე მას გული
წრფელი და თანამგრძნობარი;
მისთვის ავიღე ფარ-ხმალი,
მისთვის დავუკარ მე თარი,
დავუფრთხე გაჭირვებანი,
დღე გავუთენე ნეტარი.
სიკვდილს მოვგლიჯე კლანჭიდან,
—კაცი მეგონა, წმინდანი,
თურმე იუდა ყოფილა,
ბოროტი და გესლიანი!
მადლობის ნაცვლად ცბიერმა
მკრა ღალატობის ისარი,
ზედ მომასხურა სამსალა
მარადის დაუვიწყარი.
მაშინ დავწყევლე ქვეყანა
—ეს ბოროტების მზიდარი!
ვცან აღარ არის დანდობა,
არ არის არც მეგობარი...

პოეტის ფიქრი

(სიმღერა)

ევრჯერა მისვამს შხამ-გესლი,
—სიცოცხლე დამწარებია,
ბევრჯერ მინახავს ტკბილი დღეც,
მით სული ამყვავებ ია,
ბევრჯერ შავ-ბედის რისხვანი
ჩემზედა გამეხებულა,
ბევრჯერაც სატრფოს გულ-მკერდი
ჩემს გულზედ აძგერებულა.
ბევრჯერ მტრის ოქრო-ჯილდონი
ჩემს ბადეთ გამზადებულა,
მაგრამ ამ ჩანგის სიმები
ერთ რიგათ აჟღერებულა...
ისა ვარ, წინეთ რაც ვიყავ:
მოძმისთვის თავ-დადებული,
ბოროტებისა საბრძოლად
დღე და ღამ გამზადებული,
ეს ჩანგი არის ერისა
ცრემლებით დათქორებული,
მისი ტირილით მკვნესარე
და ლხინით ამღერებული,

მის სამკურნალო მალამო,
იმედით აჟღერებული...

ო....ს სურათზედ.

ვნახე სიზმარი... ვით ანგელოზი
ცით მომეევლინა ნაზი ქალწული,
შვენიერს სახეს დაციალებდა
უმანკოება და სიხარული.
ვით ტურფა მუზას პოეზიისას,
ხელში უჭღერდა ტკბილი ჩანგური
ლ იმ ჰანგებთან გულს მესხუროდა
ზეცის ნექტარი და სიყვარული...
—გიყვარდეს მარად! იყავ მიჯნური!
—ყურში ჩამესმა ნარნარა ხმები,
ვით ცის ლამპარი მომეცინარენ
მისი ჟუჟუნა ნაზი თვალები.
—აჰა სახსოვრად! ბრძანა და მომცა
თავის სურათი ტურფად შემკული,
სამაგიეროთ თან წარიტაცა
ჩემი ფიქრები და ჩემი გული...
—ვინ ხარ ციურო! ძლივს შევეკითხე,
მაჩუქე მაინც შენი სახელი!

—მანკი უეცრივ ფრთები გაშალა,
ზეცას გაფრინდა ზეცის ნათელი.
გაქრა სიზმარი... დამრჩა სურათი,
ტკბილი ოცნება, სულის მკურნელი,
ის არის ჩემი ხატი და ჯვარი,
ჩემი ღვთაება სათაყვანელი...

ყინვაა.

ყინვაა... ღრინავს ბორიო,
გამეფებულა ყინული,
დამუნჯებულა მგოსანი
და კვნესის გაჟივრებული.
გადაფარვია ქვეყანას
თოვლისა თეთრი სუდარა,
ქშინავს ბუნება, გაისმის
მისი გმინვა და მუდარა.
აღარ ნავარდობს ეთერში
ფრთა-სიფრიფანა ტოროლა,
აღარც გაისმის ვარდზედა
ბულბულის ნაზი ტურული.

ყინვაა... თითქო მიმქრალა
ცხოვრების სანატრიონი,
შეჩერებულან გიჟმაჟი
იქ მტკვარი და აქ რიონი.
ყინვაა... ყინვის ბორკილი
ზღვა—ხმელეთს გულს ეკონება;
ხუთავს კაცსა და მცენარეს
ყინულის შავი მონება.
ყინვაა... მაგრამ საამოდ
გულში ფართქალებს იმედი:
მოვა ზაფხული, ქვეყანას
ჩაეცმის მწვანე ხავერდი.
კლავ დაინსხვრევა ყინულის
კირთები, მტარვალებანი;
კვლავ იჭიკჭიკებს მერცხალი,
გაისმის ქებათ-ქებანი;
აფერადდება ბუნება,
აბიბინდება მოლნარი,
კვლავ ინავარდებს ცელქურად
ნიავი მოუსვენარი.
კვლავ მოეკმევა ველ-მინდორს
ვარდისა ნაზი სურნელი;
კვალად გაისმის კრიალით
ჰოპუნა პურის სამკელი.
კვლავ გაგვიცინებს მზის სხივი,

კვლავ ინეტარებს ტანჯული,
თავისუფლების მანტიას
კვალად მოგვაფენს ზაფხული...
მაგრამ ჯერ ისევ ყინვაა..-
გამეფებულა ყინული;
დამუნჯებულა მგოსანი
და კვნესის გაჭირვებული...

ᲘᲛᲐᲡ

ᲖᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲡᲣᲚᲘᲙᲝ, ᲠᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲞᲘᲠᲐᲡ
ᲛᲙᲔᲠᲓᲖᲔ ᲠᲝ ᲒᲧᲐᲕᲓᲘ ᲛᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ
ᲓᲐ ᲕᲘᲗ ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲒᲣᲚᲡ ᲛᲔᲤᲠᲥᲕᲔᲝᲓᲐ
ᲩᲐᲜᲒᲣᲠᲘᲡ ᲮᲛᲔᲑᲘ ᲫᲘᲜᲐᲖᲔᲑᲣᲚᲘ?!
ᲠᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲒᲘ ᲡᲐᲚᲐᲛᲝ!
ᲠᲐ ᲢᲙᲑᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲡ, ᲘᲡ ᲬᲣᲗᲔᲑᲘ!
ᲝᲰ, ᲠᲐ ᲣᲛᲐᲜᲙᲝᲓ ᲒᲕᲔᲐᲚᲔᲠᲡᲝᲓᲔᲜ
ᲥᲝᲠᲤᲐ ᲑᲣᲩᲥᲘᲓᲐᲜ ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲘ!
ᲘᲥ ᲥᲕᲘᲗᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲕᲐᲠᲓᲖᲔ ᲑᲣᲚᲑᲣᲚᲘ,
ᲘᲥ ᲘᲧᲝ ᲢᲠᲤᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲑᲘᲜᲐ
ᲘᲥ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ ᲔᲜᲐᲠᲜᲐᲠᲝᲓᲐ
ᲪᲔᲚᲥᲘ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲢᲙᲑᲘᲚᲘ ᲜᲐᲜᲘᲜᲐ.

შეჩერებოდა დროს სიარული,
იქ თვით ბუნებაც კი მდუმარებდა
მხოლოდ ნიავი შენს ხმას ზენაარს
ფარფატა ფრთებით მიაცურებდა.
ქვეშიდან, ტურფავ, მგოსანს ტკბილ-ხმოვითა ლვთაებას შემოგყურებდი, [ვანს
შენ კი ნელიად ჰანგებს ზეციერს
მკურნალ მალამოდ გულს მასხურებდი.
იმდროს მიპარვით ჩემი თითები
შენს თმას ზილფოვანს ეთამაშოდა,
იქვე მესმოდა ფუნთუშა მკერდზე
მორცხვი კოკობი რა რიგათ კრთოდა.
ხან და ხან, ტურფავ, თითქო უცრივ
თვალი თვალს ურჟოლით მიმოხვდებოდა
და ვით ელექტრო, ვით კვეს-აბედი,
შიგ ტრფობის ცეცხლი გამოკრთებოდა.
შეჩერდებოდა ჩანგურის ეღერა,
მითვლემდა კვნესით ჰანგი ციური,
და შეეტკბოდენ ერთად ბაგენი
ვით ანდამატი სამოთხიური.
და გვიტაცებდა ტრფობის ბურუსი...
სულს გვიფურჩქნიდა შარპათ-ნექტარი...
აღარ გვახსოვდა იმ დროს ქვეყანა;—
მხოლოდ სიყვარულს ვწოვდით ნექტარი..

მოშორდებოდენ ბაგეს ბაგენი,
კვლავ მუსიკობდა ისევ ჩანგური,
კვლავ მიფრინავდა შორს მიდორ-ველად
შენი სიმღერა ტკბილი, მაცთური...
—ოჰ, განქრენ დრონი ნეტარებისა!
სდუმდა ბულბულის ხმა მონარნარე.
და აქ მონებში მყოფს შენსა მიჯნურს
აღარ მიცინის ბუჩქიდან მთვარე.
ვარ ამ სიშორეს ტანჯვის დილეგში,
გადაფარვია სულს კაეშანი,
მხოლოდ ეს გული ჟღერს შენსა სახელს,
ვით უდაბნოში მკვნესი ეჟვანი.
მაგონდებიან მარად ის ბაღი,
ლურჯ-ზილფოვანი ლაღი მდინარე
და სატრფო ჩემი ცისფერ-თვალება,
ვით ანგელოზი ტურფა, მღიმარე...

აქ ქორფა ბუჩქებს
მთვარის შუქი ენარნაროდა,
იქვე ბულბული

ნაზი ხმებით ვარდს შეჰხაროდა;
იქვე მდინარე
ნებიერი, მიმომცინარე,
ცელქი ჩქრიალით
მხიარულად მისრიალობდა.
იქ იჯდა ქალი
თმა გაშლილი, შვენიერება,
ვით ზეცის მუზა,
სიყვარული და ნეტარება,
იყო მარტოკა.
სევდიანი, იყო მდუმარე,
მის პაწა ფეხებს
შეხუმროდა ზვირთი მღიმარე.
მიველ სულ წყნარა
გულის ძგერით მისი მიჯნური,
და მუხლ მოდრეკით
ეუგალობე ტრფობის ზევსური
მან მომანათა
ის თვალები ნაზ-ცრემლიანი,
ვით ცისიერი
მოელვარე, შარპათიანი.
მითხრა „ვინა ხარ!
გმირი, ქვეყნად თავდადებული,
თუ სუსტი მონა

მტრის მსახურად გამზადებული?
თუ კი გმირი ხარ
რა მაჩვენე საქმე საგმირო,
რომ ჩემს სიყვარულს
სატარიგოთ შენ შემოსწირო?
და თუ მონა ხარ;
წაჰ, გამშორდი! შორს! შერცხვენილო!
სულით ძაბუნო,
ქალაჩუნავ და თავმოქრილო!
გმირი ხარ?!
მაშ გესმის შენა
ერის ტანჯვა, ერის კვნესანი?
მაშ მზერ და გესმის
ძალადობა-ვერაგობანი?!
გესმის იქ მუშის
გაპიერება, უხმო ჩივილი,
იქვე შიმშილი,
საზიზღარი, პირდაღრენილი?!
ამბობ: მიყვარხარ...
მაშ ჯერ წადი ერის საშველად
და შეიქენი
დაჩაგრულის ფარად და მცველად!
ამბობ: მიყვარხარ...
მაშ მოწმინდე

გაპივრებულთ მწარე ცრემლები
    და ხალხის გულში
ააჩქეფე ნეტარი ხმები!
    ამბობ: მიყვარხარ...
მაშ გააქრე მუშის ჩივილი
    და სევდის ნაცვლად
იმის სახეს აფრქე ღიმილი.
    ჰე, მაშინ ვიგრძნობ
რომ გიყვარვარ და გეყვარები,
    ჰე, მაშინ გიმღერ
ტრფობის ჰანგებს, მკერდს ჩაგეკვრები.
    ჰე, მაშინ მოდი
ჩემთან ლაღად, გმირო-მიჯნურო,
რომ სიყვარულის ბალაზინი
    გულს მოგასხურო.
    მაშ მანამდისინ
ჰა, ეს დროშა და ჩემი მცნება:
ანუ სიკვდილი ბრძოლის ველზედ
ან გამარჯვება!
    წადი შემოკრბე
მაგ დროშის ქვეშ ტოლ-მეგობარი
    საგმირო ხმებით
ააძგერეთ სულ მთა და ბარი!
    წაჰ, გარდაიცვით

მეცნიერთა ჯუბა-ჯავშანი
და მით გაუქრეთ
ხალხს ვარამი და კაეშანი!
იბყარით ხელში
განათლების ცელი, ნამგალი
და გარდაკაფეთ
უმეცრების ბნელი ქაცვნარი,
დაიშხუილეთ,
ვით ბორიო, ვითა გრიგალი,
და ძირს დაეცით
მოლალატე, ქვეყნის მტარვალი!
წადი, მიჯნურო,
ზეცა იყოს შენი მფარველი
და სამშობლოს სიყვარული
ძალის ჩამდვმელი!
წადი, მაჩვენე
ეს მაგ დროშის მე ფრიალები
და მოდი მაშინ
როს წარწერო ზედ გამარჯვება...



სარჩევი.

I ლექსები დაწერილი 1894 წელს.

1. (სიმღერა) იჟღერე გულო... გვ. 7
2. ნეტარებს მწირი . 8
3. იგი იმღერის . 10
4. არ დაემონო შავ-ბედსა. 10
5. (სიმღერა), როს ვინმე ქალი . 12
6. დეე დამცინონ 13
7 სირცხვილი შენი. 15
8. რად არ დაცხრები . 16
9. ვნახე ყვავილი (სიმღერა) 17
10. ვნახე მაისში (სიმღერა) 17
11. დიდი ხანია (სიმღერა). 18
12. ფ—ს , 26
13. ფ—ს(სიმღერა) 47

II 1895 წელს.

1. ნატვრა 19
2. გოდვა სიმღერა 21
3. რაფიელს 26
4. უცნობ ლამაზს 40

III 1896 წ,

1. მუსიკა 24

2. პეპელა ბარიშნებს 37
3. ქართული ძილის პირი. 53

IV 1897 წ.

1. აგერ ბუნებას 27
2. ნეტარება 28
3. საქართველოს 29
4. მოსწავლე მეურნეებს 33
სოფლელ გლეხობას 35

V 1898 წ.

1. დრო არის ძმებო. 39
2. მცხეთას, ქართველებს. 39
3. ამირანს 45
4. გაჭირვება, ტანჯვები 52
5. სულის წყურვილი 60
6. ჩემს მოღალატეს. 62
7. პეპელა 65
8. მარსელიეზა. 68

VI 1899 წ.

1. ნუ გეზიზღებათ 71
2. იყო საღამო 73
3. მიყვარს ის მხარე (სიმღერა) 77
4. ერთ ქალს. 81